



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური  
დირექტორის

ბრძანება № 80

2017 წლის 23 ივნისი

ქ. თბილისი

„2017 წლის მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობებისა და საკონკურსო განაცხადის ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2017 წლის 22 ივნისის N 78 ბრძანებაში შეცდომის გასწორების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

**ვბრძანებ:**

1. შევიდეს ცვლილება „2017 წლის მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობებისა და საკონკურსო განაცხადის ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2017 წლის 22 ივნისის N 78 ბრძანებით დამტკიცებულ დანართ 1-ში, 2017 წლის მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის გრანტით დაფინანსების პირობებში და მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
„ე) სეზონური სკოლის ხანგრძლივობა უნდა მოიცავდეს მინიმუმ 30 საათს. კომბინირებული ღონისძიების შემთხვევაში, სეზონური სკოლის ხანგრძლივობა, ასევე, მინიმუმ 30 საათს უნდა შეადგენდეს.“
2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში: ფონდი) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება
3. ბრძანება ძალაშია ფონდის ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N 6)

მანანა მიქაბერიძე

გენერალური დირექტორის

მოვალეობის შემსრულებელი